საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# ბრძანება

ქ. თბილისი

N 1355-03
01/07/2021

**2005 წლამდე იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების არასაბიუჯეტო(ფასიან) სექტორზე ჩარიცხული პირებისათვის, რომელთა სამართალმემკვიდრე სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტია, საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობის გამო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 44-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 16 ივნისის №7 სხდომაზე დამტკიცებული ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის $ბ^1$ ქვეპუნტისა და მე-$4^1$ პუნქტის საფუძველზე

**ვბრძანებ**

**1.** 2005 წლამდე იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების არასაბიუჯეტო(ფასიანი)სექტორზე ჩარიცხულ პირებს, რომელ დაწესებულებათა სამართალმემკვიდრე სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტია და მათი ჩარიცხვიდან გასულია შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურის დასრულების ვადა და ამ ვადის გასვლის შემდეგ საარქივო მონაცემების მიხედვით არ აქვთ სრულად დაძლეული საგანმანათლებლო პროგრამა, საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობის/აკადემიური ჩამორჩენილობის გამო შეუწყდეთ სტუდენტის სტატუსი.

**2.** უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს აღნიშნული ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

**3.** უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს აღნიშნული ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.

**4.** უნივერსიტეტის არქივს დაევალოს აღნიშნული ბრძანების გათვალისწინება დაინტერესებული პირისა თუ უნივერსიტეტის სტურუქტურული ერთეულის მიერ საარქივო მონაცემების გამოთხოვის დროს და მოახდინოს იმ პირთა პირად საქმეში

აღნიშნული ბრძანების შენახვა, რომელთა შესახებაც ვრცელდება აღნიშნული გადაწყვეტილება.

**5.** უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს აღნიშნული ბრძანების ასლები უნივერსიტეტის არქივს, უნივერსიტეტის ყველა ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს.

**6.** გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში(მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიგა ზედანია

რექტორი